მომხს: თ. ზაზანაშვილი

<u>პროექტი</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

„-----“ ნოემბერი 2021 წ.

ქ. თელავი

# თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 14/02/2018, 270070000.35.163.016390).

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 „მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები“ ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3 „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოები“ ჩამოყალიბდეს დანართი №2-ის შესაბამისად.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი №1*

## თელავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები

| № | თანამდებობა | რანგი | იერარქია | საბაზო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი) | თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი | ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირები** | | | | | |
| **1.1** | მერი | | | 1 100 | 4.6 | 5 060 |
| **1.2** | მერის პირველი მოადგილე | | | 1 100 | 3.5 | 3 850 |
| **1.3** | მერის მოადგილე | | | 1 100 | 3.2 | 3 520 |
| **2** | **მერიის პროფესიული საჯარო მოხელეები** | | | | | |
| **2.1** | სამსახურის უფროსი | I რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 100 | 2.3 | 2 530 |
| **2.2** | განყოფილების უფროსი | II რანგი | მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | 1 100 | 1.6 | 1 760 |
| **2.3** | უფროსი სპეციალისტი | III რანგი | II კატეგორია | 1 100 | 1.2 | 1 320 |
| **2.4** | უმცროსი სპეციალისტი | IV რანგი | I კატეგორია | 1 100 | 1.0 | 1 100 |

*დანართი №2*

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოები

| № | ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები | ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა | ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|---|
| **1** | მერის წარმომადგენელი | 27 | 1700 |
| **2** | სპეციალისტი | 40 | 800 |

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

### თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ცვლილების შეტანის საკითხს.

ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზეზს წარმოადგენს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოების ზრდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელფასო კოეფიციენტების კატეგორიების ზედა ზღვრის ფარგლებში.

აღნიშნული ცვლილება ითვალისწინებს თანამდებობრივი სარგოების სავალდებულო 10%-იან ზრდას, რაც გამოწვეულია საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გთვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგოს ზრდით, რომელიც 2021 წელს განისაზღვრებოდა 1000 ლარით, ხოლო 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით განისაზღვრა 1100 ლარით.

ცვლილება აგრეთვე ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოების კოეფიციენტების ზრდას, რომლის შესაბამისად განხორციელდება თანამდებობრივი სარგოების მატება.

აღნიშნული ცვლილების განხორციელების მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მოტივაციის სისტემის შექმნა, რომელიც ადამიანური რესურსების მართვის მთავარი ინსტრუმენტია. ის ხელს შეუწყობს დაწესებულებაში პროდუქტიული, პროფესიონალი კადრების შენარჩუნებას და ვაკანტურ პოზიციებზე კომპეტენტური კადრების მოზიდვას. მოტივაცია პირდაპირ არის ასოცირებული სამუშაოს შესრულების ხარისხთან. მოტივაციის სისტემის დანერგვის მიზანია შექმნას დადებითი განწყობა ნაყოფიერი შრომისადმი, დაწესებულების მოთხოვნებისა და მიზნების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მოსამსახურემ მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის პასუხისმგებლობა მთლიანად აიღოს საკუთარ თავზე და მუდმივად იყოს ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მიგვაჩნია, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ფუნქციური დატვირთვა, მნიშვნელობა და მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობის დონე არ არის პროპორციული დღეის მდგომარეობით არსებული თანამდებობრივი სარგოების მოცულობებთან.

ნორმატიულ აქტში განსახორციელებელი ცვლილება სრულად შეესაბამება „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნებს.

**პროექტის ავტორები:**

ა) თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური;
ბ) თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
გ) თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური სამსახური.

**პროექტის წარმდგენი:**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი.